



შემოქმედებითი საქართველო

## კონკურსი: შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

### კონკურსის შესახებ

**კონკურსის მიზანია** შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის მდგრადი განვითარება, შემოქმედებითი მეწარმეების გაძლიერება და ადგილობრივი, კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნისა და მისი ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

### კონკურსის პრიორიტეტია

შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერებისთვის, ერთი მხრივ სექტორის ხელშეწყობი ინიციატივებისა, მეორე მხრივ კი, თავად სექტორის წარმომადგენლების მხარდაჭერა.

### კონკურსი ითვალისწინებს:

#### I. შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერებას:

შემოქმედებითი ინდუსტრიების ვირტუალური და ფიზიკური პლატფორმების, კლასტერების შექმნა და განვითარება;  
პროფესიული განვითარების და კომერციალიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების გამართვა;  
კვლევითი საქმიანობა, სახელმძღვანელოებისა და გზამკვლევების შემუშავება და თარგმნა;  
ინოვაციური სტრუქტურების და მოდელების შემუშავება და ამოქმედება.

#### II. შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობას:

პროტოტიპის შექმნისთვის - ფაბლაბების, სახელოსნოების და სხვა ტიპის რესურსების გამოყენება და პროფესიული უნარების განვითარება.

### ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება

საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირებს, არასამთავრობო და კომერციულ ორგანიზაციებს.

## პროექტით გათვალისწინებული თანხის მოცულობა

კონკურსის ფარგლებში, სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა 1. **შემოქმედებითი ინდუსტრიების ეკოსისტემის გაძლიერების** მიმართულებით შეადგენს მაქსიმუმ - **20 000 ლარს** (ყველა გადასახადის გათვალისწინებით), ხოლო 2. **შემოქმედებითი სტარტაპების ხელშეწყობის** მიმართულებით - **5000 ლარს** (ყველა გადასახადის გათვალისწინებით). აღნიშნული თანხა არ უნდა ითვალისწინებდეს მატერიალური/არამატერიალური აქტივების და ინფრასტრუქტურული მომსახურებების შესყიდვას.

## კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება წელიწადში ორჯერ: 2019 წლის **18 მარტიდან - 15 აპრილამდე** და 2019 წლის **17 ივნისიდან - 22 ივლისამდე**;
2. გამარჯვებულ პროექტებზე გადაწყვეტილებას იღებს სპეციალურად მოწვეული კომისია, საპროექტო განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღეში;
3. პროექტით გათვალისწინებული აქტივობების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებულ აპლიკანტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რომელიც გაფორმდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;
4. ყველა პროექტი უნდა დასრულდეს და საბოლოო ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს **არაუგვიანეს 2019 წლის 1 დეკემბრისა**.

## კონკურსის პირობები

1. გამარჯვებული პროექტი შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ კონკურსის გზით, ხოლო დაფინანსება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების სახით, მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პროექტებზე;
2. **პრიორიტეტი მიენიჭება** თანადაფინანსების მქონე პროექტებს და იმ პროექტებს რომლებსაც, მიმდინარე წელს, არ აქვთ მიღებული დაფინანსება განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან;
3. გამარჯვებული პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა ჩაირიცხება ორ ეტაპად: 80%-მდე ხელშეკრულების გამფორმების შემდგომ, წინასწარ წარმოდგენილი გასაწევი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო დარჩენილი თანხა ჩაირიცხება საბოლოო ანგარიშის (ფინანსური და შინაარსობრივი) წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ, რომლის წარმოდგენის თარიღი განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხელშეკრულების საფუძველზე;
4. პროექტის ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ არ აანაზღაურებს;
5. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოდან“ მოთხოვნილი თანხის სახელფასო ფონდი არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული თანხის 35 %-ს;

6. სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს უფლება აქვთ შეზღუდვის გარეშე გამოიყენონ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან და ნაბეჭდი ასლი, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში;
7. სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს, საკონკურსო ვადებში, ყოველ სამშაბათს, 16:00 საათიდან 17:00 საათამდე, მისამართზე: ვ. დოლიძის ქუჩა, კორპუსი №28.

## შერჩევის კრიტერიუმები

სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ წარმოდგენილ აპლიკაციებს მხოლოდ ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს. საკონკურსო აპლიკაციას განიხილავს და აფასებს სპეციალურად მოწვეული საკონკურსო კომისია;

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის საჭიროებათა ანალიზი - სექტორული, ბაზრის, ადგილმდებარეობის, რესურსების და სხვა საჭიროების მიხედვით.	15 ქულა
2	პროექტის სტრუქტურა - მეთოდოლოგია, ფუნქციები, შესრულების გეგმა და სხვა.	15 ქულა
3	ბიუჯეტი - ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან.	10 ქულა
4	პროექტის მდგრადობა და შედეგის ეფექტიანობა.	10 ქულა
5	ორგანიზაციის/პირის უნარი - პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსები	5 ქულა
6	რელევანტურობა - რამდენად პასუხობს პროექტი კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს.	10 ქულა
7	პროექტის მარკეტინგი - აუდიტორიის განვითარება, კომუნიკაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.	5 ქულა
<b>სულ</b>		<b>70 ქულა</b>

## როგორ წარვადგინოთ განაცხადი

- კონკურსში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ელექტრონული სახით. პროექტთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა იხილეთ შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე - [creativegeorgia.ge](http://creativegeorgia.ge);
- საპროექტო განაცხადის ელექტრონული ფორმა და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე [competition@creativegeorgia.ge](mailto:competition@creativegeorgia.ge) 2019 წლის კონკურსის ვადის ამოწურვამდე, თბილისის დროით 18:00 საათამდე. წერილის სათაურის ველში

აუცილებლად უნდა მიუთითოთ: **CIDEV2019-1** (თუ ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტების მოცულობა აღემატება 20MB-ს, გთხოვთ, [შეამციროთ ფაილების ზომა](#));

- საპროექტი განაცხადი მიღებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოგზავნილ საპროექტო განაცხადზე მიიღებთ დასტურს. თუ დასტური არ მიიღეთ ერთ სამუშაო დღეში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტაზე [dato@creativegeorgia.ge](mailto:dato@creativegeorgia.ge) ან [vakhtang.urushadze@gmail.com](mailto:vakhtang.urushadze@gmail.com) ან ტელეფონზე 555 000 931 დათო ნადირაძე - პროგრამის მენეჯერი; 577 935032 ვახტანგ ურუშაძე - პროგრამის კოორდინატორი;
- რეკომენდირებულია, განაცხადები წარმოადგინოთ საკონკურსო ვადის ამოწურვამდე მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, რათა ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში დროულად აღმოიფხვრას პრობლემა.

## კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი ყველა სავალდებულო დოკუმენტის ჩამონათვალი

1. პროექტის განაცხადი შევსებული თანდართულ PDF ფორმატში;
2. დანართი №1 - დეტალური ბიუჯეტი (ბიუჯეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი PDF ფორმატში;
3. დანართი №2 - პროექტის განმახორციელებელი გუნდის ძირითადი წევრების რეზიუმეები;
4. დანართი №3 - თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობაზე (პარტნიორი ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში);
5. დანართი №4 - ფიზიკური პირის შემთხვევაში, პირადობის ასლი. იურიდიული პირის ან მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში, ბოლო 6 თვის მანძილზე განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან <https://public.reestri.gov.ge/>.
6. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, დონორის მიერ გაცემული წერილი/დოკუმენტი თანადაფინანსების არსებობის შესახებ;
7. დამატებითი ვიზუალური ან სხვა დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში.

კონკურსის ფარგლებში არსებული ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის შემთხვევაში.

დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

ამ კონკურსში პროექტის წარმოდგენით მონაწილე ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ წარმოდგენილი პროექტი მხოლოდ მათი ნამუშევარია. კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული ან პროექტის ავტორების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

### საკონტაქტო ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე [dato@creativegeorgia.ge](mailto:dato@creativegeorgia.ge) ან [vakhtang.urushadze@gmail.com](mailto:vakhtang.urushadze@gmail.com)